დამოუკიდებელი ინსპექტორის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2024 წლის 31 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №134/24
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2024 წლის 15 ოქტომბრის №134 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2024 წლის 16 ოქტომბრის №-- -- წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლი, კერძოდ, საქმეში მოწმედ დაბარებული პირი არ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე, ხოლო მოსამართლემ ამასთან დაკავშირებით არ განახორციელა რაიმე სახის რეაგირება.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წლის 30 ოქტომბერს, -- -- სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა -- -- მოპასუხე -- --მიმართ, ანდერძის ბათილად ცნობისა და მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნით.

2022 წლის 30 მარტის სასამართლო სხდომის ოქმის თანახმად, მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოწმე -- -- განცხადება მტკიცებულების სახით დაერთო საქმეს.

2022 წლის 25 აგვისტოს, -- -- სასამართლოს მიერ საქმეზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

კონკრეტულ შემთხვევაში საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლი, კერძოდ, საქმეში მოწმედ დაბარებული პირი არ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე, ხოლო მოსამართლემ ამასთან დაკავშირებით არ განახორციელა რაიმე სახის რეაგირება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოწმედ დაბარებული პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს სწორი ჩვენება. მოწმის სასამართლოში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი დაჯარიმდება 50 ლარით. სასამართლომ შეიძლება დაადგინოს მოწმის იძულებითი მოყვანა.

-- -- სასამართლოს 2022 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილებაში სასამართლო აღნიშნავს, რომ მოწმის სახით დაბარებული პირის -- -- განმარტებით, სასამართლო სხდომაზე ვერ ცხადდება, რადგან ეშინია მოპასუხესთან და მის ოჯახთან დაპირისპირების, ხოლო მისი განცხადება, დამოწმებული სანოტარო

წესით დაერთო საქმეს. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში მოწმის არასაპატიო მიზეზით სხდომაზე გამოუცხადებლობას ადგილი არ ჰქონია.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებისა და გადაწყვეტილების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

ამასთან, საქმის დეტალური შესწავლის შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე მოქმედებდა საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და კონკრეტული საკითხების/ფაქტობრივი გარემოებების შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მის კანონიერებაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტით, 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

შეწყდეს -- -- 2024 წლის 15 ოქტომბრის №134 საჩივრის საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

შოთა ქადაგიძე
დამოუკიდებელი ინსპექტორი